ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4350745

ნომერი: AR1656088

თარიღი : 18.01.2019

გაცემის თარიღი : 25.01.2019

გაცნობის თარიღი : 25.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი N425 -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ხაინდრავა პ/ნ 01008039424
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 24

ორგანიზაცია:

- სეიტონი კოდი: 205023865

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ვარკეთილი 3, IV მ/რ კორპუსი N425-ის მიმდებარედ, ა(ა) იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.19.39.002.091), ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

ამავე დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ - N 892018729112 - 20/08/2018 წ. საკადასტრო კოდი N 01.19.39.002.091; ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სამგორი, ვარკეთილი 3, IV მ/რ კორპუსი N425-ის მიმდებარედ, ა(ა) იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.19.39.002.091), I კლასის ღობის მოწყობის მშენებლობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ : საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს მიმდებარედ, ა(ა) იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ საკუთრებაში არსებულ N 01.19.39.002.091 საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge